1897/19




საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო-ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა-დღეს.

№ 33 — აგვისტო 10 1897 წ. — № 33

შინაარსი: პოლიტიკური მითქმა-მოთქმა ოსმალეთში ვასო რაჭველისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენციები.—*** ლექსი ი. ევდოშვილისა.—წერილები ინგლისიდან (შემდეგი) საზღვარ-გარეთელისა.—გაკვრით (დასასრული) ია ეკალაძისა.—ლოცვა (ლერმონტოვიდან) ლექსი კოწიასი.—დღეს შაბათია (დასასრული) ვანოსი.—ხალკედონის კრების მიერ აღძრული შფოთი და ქართველ სომეხთა გაცალკევება სარწმუნოებაში (დასასრული) დ. ც—დ—სა.—ბიბლიოგრაფია პ. ს—ძისა.—წერილი რედაქციის მიმართ მღ. ს. ჩხაიძისა და განცხადება.

## მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლაში

დაიწყება ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს აგვისტოდან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმისთ, და სამი განყოფილებაც რუსული. სკოლა გადავიდა ახალ სადგურში ნავთლუღის და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან, იმ კუთხეში, საგარდა—პოსერბსკის სახლში, № 12. სწავლა დაიწყება 1-ს ენკენისთვეს.

---

დაიბეჭდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში და გამომცემელთან. მ. ლალიძის-მიერ გამოცემული:

„ნათელა“

(ძველებური ამბავი)

აკაკისა

შვენიერ ქაღალდზე. გვერდი 72, მისი ფასი 20 კაპეიკია.

(20—4)

## პოლიტიკური მითქმა-მოთქმა ოსმალეთში.

### III.

ქვეყნის ვითარება მარტო გარეშე მაყურებლის თვალით არ დაინახვება; თავისიანის ლაპარაკსაც ყური უნდა უგდოს.



გუშინ წინ, დაბრუნდა თუ არა ფრანციის დესპანი კამბონი, რომელიც, როგორც ამბობენ, იყო წასული პირადათ პრეზიდენტთან მოსალაპარაკებლათ, დაიწყო ხელახალი სხდომები. ეს მეცამეტე კონფერენცია იყო. ამ დღიდან ისევ განახლდა ცოტა ხნით შეჩერებული ცხენოსანი ჯარის სიარული ქუჩებში! ეს უკანასკნელი კი, ასე ჰგონიათ, მიტომ მოხდა, რომ სომხების საქმემ ისევ იჩინა თავიო. მართლაც სომხების კომიტეტმა თითქო ისევ გაიღვიძა, ერთ-ორ ალაგას

კიდევაც გამოცხადდენ მდიდარ სომხებთან და ფული მოითხოვეს სარევოლიუციო მასალისათვის, ერთი-ორი კიდევაც დაიჭირეს მათთაგანი, მხოლოთ მიზეზი ცხენოსანი პატრულის ისევ განწესებისა, მაინც სხვაა. ეს არის თვით ოსმალეთის მთავრობის ეჭვი ხალხზე, რომ თუ მორიგებამ გლახა ნაყოფი გამოიღო, თუ თესალიის დათმობა საჭირო შეიქნა ხალხი არ აჯანყდესო.—ეს სწორეთ ასე გახლავთ, მითხრა ერთმა საპატიო თათრის მოხელემ:—ჩვენ თესალიას უკან ვერ მივცემთ, სულ ცოტა, ნახევარი მაინც უნდა დაგვრჩესო. თქვენ ვგონებ გესმით ომის მნიშვნელობა. ომი, ჰგავს „ვოინს“*),თამაშობას ნიძლავით.—ახლა მე რომ თქვენ ნარდი მეთამაშოთ ერთი ოქრო ნიძლავით თუ მომიგეთ წამართმევთ ჲ ეგრეთვე თუ წააგე, უნდა მომცე. ჩვენ,—განაგრძო მან,—გვიგონებენ, ვითომ პროგრესის ხალხი არ ვიყვეთ, ვითომ განათლების, გაევროპიელების ნიჭი არ გვქონდეს. მაშ ვისი შექნილია ნეტავი ახმედ-მითხად-ფაშა, რომელმაც კონსტიტუცია შეიმუშავა, მურად-ბეგი, რომელიც გაზეთ „მიზანს“ სცემდა ჲ სხვა. რომ ჩვენთვის ევროპას თავი დაენებებია, დიდი ნაბიჯი გვქონდა მომზადებული წინ სვლისათვის. ჩვენმა სულთანმა თითქმის ყველაფერი ევროპიულ გეგმაზე მოაწყო, საყოველთაო განათლება შემოიღო, განათლებული ახალ თაობა დააწინაურა: ახმედ-ბეგი საგენერალო შტაბის სკოლის საჯარო აკადემიის მასწავლებლათ დანიშნა, მურად-ბეგი სახელმწიფო კაცების ინსპექტორათ ჲ სხვა მრავალი, ნაზიმ ფაშა პოლიციის მინისტრათ. მაგრამ, როგორც ყოველთვის ისე ახლაც, ევროპამ საშველი არ მოგვცა. ჩვენი პირუთვნელი ჲ პატიოსანი გეგმა მოქმედებისა აგვირია ერთის მხრით მით, რომ სომხები აგვიჯანყა შიგ სატახტო ქალაქში და მეორე მხრივ თვით ჩვენ აგვიხვია თვალები დღევანდელი ჩვენი ძველი თაყობის წაქეზებით და გაგვალაშქრა თვით ხალიფის წინააღმდეგ —ვითომ ჩვენი ხალიფი სომხების მომხრე იყოს და წარმოიდგინეთ მათი უსვინდისობა, ისინი იმასაც ამბობდენ, ვითომ ჩვენი ბატონი სომხის შვილი ყოფილიყოს. მე არც იმას ვიტყვი, რომ სომხებს სიმართლე არ ქონდესთ, მხოლოთ ესეც ცხადია, რომ ისინი ბევრათ ჩვენზე კარგათ ცხოვრებენ ოსმალეთში; არც მათი მოქმედება, არც ჩვენი ახალთაობისა ისე, როგორც აქამდის იყო, ჩვენ ვერ დაგვიხსნის. საჭიროა, ჩვენ ისევ ჩვენს ძველ პროგრამას მივყოთ ხელი—ძველს-თქვა-ვამბობ არ გეგონოთ, ჩვენებური ძველებური, არა, მითხად-ფაშისა ჲ მურად-ბეგის პროგრამას. განათლებული ხალხის ხელში მოვაქციოთ სათათროს ბედ-იღბალი. მოვსპოთ უვიცთა ბატონობა, ქრთამი, წოდებრივი და რჯულის სხვა-და-სხვაობა, ერთი გავხადოთ ყველა ოსმალეთის ქვეშევრდომი, ერთ რიგიან კანონს დაუქვემდებაროთ ყველაერი, განურჩევლათ გვარ-ტომობისა და რჯულისა—ასეც ვიზამთ, იცოდეთ.

რამდენათ შესაძლებელია ჩემი მოსაუბრის იმედი „ასეც ვიზამთ, იცოდეთო“ ჩვენ არ ვიცით, მხოლოთ ეს კი უსათუა, რომ ოსმალეთს დღეს დიდი გეგმა აქვს გამოსახული. ეს გეგმა ისეთი გეგმაა, რომელმაც უნდა ააყენოს მთელი ევროპა ფეხზე და თუ ოსმალეთს ბედმა არ უმტყუვნა, თავისი ამღვრეული წყალი თვითონვე დასწმინდა, უეჭველია, დიდ ცვლილებას მიიღებს ევროპიის ქარტა. ახლა ვიფიქროთ რით და როგორ შეუძლია ოსმალეთს ისარგებლოს. თუ ევროპის კონცერტი იმოქმედებს ისე, როგორც აქამომდე, შესაძლოა ოსმალეთმა თავისი გაიტანოს. ეჭვი არ არის გაზეთების ლითონი სიტყვები: „ალარა არის საეჭვო, რომ მორიგება ამდღეებში მოხდებაო“—ვერას უშველის. ჯერ თვით გაზეთების პატრიარ-„ტაიმსიც“ ხან ისეთ „სილაბანდურა“ ამბებს იწერება, რომ კაცს უნებლიეთ ეჭვი ებადება ყველა ჟურნალ გაზეთების ამბების სინამდვილეზე. ამ რამდენსამე დღის წინეთ „ტაიმსი“ წერდა: ეთემ-ფაშა გენერალ ადიუტანტი გახდაო, როცა ის ჯერ კიდევ აქ მყოფობის დროს გენერალ-ადიუტანტი იყო და ლარისის აღებ სათანავე მარშალი გახდა. ახლა კი ის არის გაზი (დაუძლეველი). ახლა ვთქვათ, ცოტა რამ კიდევ ალმოსავლეთის კითხვის თაობაზე. ჩვენ გვეგონა, უკანასკნელ ტელეგრამებს შემდეგ, რომლითაც სავსე იყო აქაური მრავალ ფეროვანი გაზეთები, რომ საქმე დაბოლოვდა, მორიგება მოხდაო—ალარა გვექნებოდარა საწერი თესალიის შესახებ მაინცო, მაგრამ, როგორც მკითხველი დაინახავს ამა ქვემორე პწკარებიდან, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვქონია სათქმელი—სრულიად უსაფუძვლოა ყველა ის ტელეგრამები - საქმე ჯერ არ გათავებულა და არც გათავების ფერი ადევს. უკანასკნელი „რადები“ ომის უსათუო საბუთებია. ბრძანება გამოვიდა: არ შამოუშვან არც ერთი ბერძნის ხელქვეითი სტამბოლში, არ მისცენ ნება არსად ოსმალეთში იმუშაოს გემებმა ბერძნის ბაირაღით, გარდა ამისა სამშაბათს, ოც და-ორს ივლისს ებრძანა დარდანელში მყოფ ოსმალეთის ფლოტს წასულიყო კრიტის წყლებში.

---

*) „ვოინი“—თათრული, „ВОЙНА“—რუსული. და „ოინი“—ქართული ერთი და იმავე მირისაგან წარმოებენ, სახელდობრ მონგოლურის, აქედან მონგოლური სიტყვა „ნოინი“ ნიშნავს მხედართ მთავარს. ამ სიტყვიდანვე წარმოებს ქართველ მწერლების მიერ შემოტანილი მწერლობაში ახალი სიტყვა—„უნარი“ რომელიც ნიშნავს „ხერხს“, „მოხერხებას“. რედაქ.

ჯევად-ფაშა სედრაზამათ ნამყოფი, უკვე გავიდა კუნძულ კრიტზე და დიდი ცერემონიითაც მიიღეს, ამ უკანასკნელმა კი რამდენიმე ათასი კაცის ხელმოწერილი რწმუნების ბარათებიც გამოუგზავნა ხალიფას, რომელშიაც კრიტის მცხოვრებნი სრულს მორჩილებას უცხადებენ მართლმორწმუნეთა მბრძანებელს დ̃ თხოვენ შეგვინდე შეცოდებაო. ყოველ შემთხვევაში ნათელივით ცხადია, რასაც ევროპის კონცერტი უქადის ალმოსავლეთის კითხვას. მარტო რუსეთზე შეიძლება ითქვას გადაჭრით, რომ ის ადგია ცხადს და პირუთვნელ პოლიტიკასო—წარმოთქვა ერთხელ თურმე გამოჩენილმა ალი-ფაშამ, რომელიც იყო დიდი ვეზირი იმ დროს, როცა ეგვიპტის ხედივმა კინალამ კონსტანტინოპოლი წაართვა ოსმალებს. ახლაც, რა გვესმის, ისევ იგივე უნდა გავიმეოროთო—იძახიან აქაური ნოტაბლები. რუსეთი ამბობს, ოსმალეთს უნდა გამოვა—თესალიიდან, უნდა არა; ეს მან იცის და მისმა მოსაზრებამო. ფრანცია, იტალია დ̃ ინგლისი ამბობენ უეჭველათ უნდა გამოვიდენ თათრები თესალიიდან—და ავსტრია და გერმანია კი ამბობენ არ უნდა გამოვიდესო. ახლა ვთქვათ, ეს კონცერტი რომ ნამდვილ წარმოდგენათ გადაკეთდეს, სუფლერმა, რომელი ერთი უნდა წაუჩურჩულოს ავტორს ან, აკტიორები, როგორ უნდა მოიქცენ—აქედან ვგონებ ტრაგი-კომედიის მეტი არა გამოვარა. შეიძლება კი, რომ ბოლოს ეს ტრაგი-კომედია დრამათ გადაკეთდეს და ისეთ დრამათაც, რაც ჯერ არავის გაეგონოს და არც წარმოედგინოს.

თუ ბოლკანეთის მთებს სხვა არავინ ეფარება, ჩვენ მისი ალელვებისა არ გვეშინიაო, ამბობენ თათრები, მაგრამ თუ ბოლკანეთს დიდი ოკეანე მოაწვა და გადმოხეთქა, მაშინ „არცარა ჩვენთვის და არცარა თქვენთვისო“.

ოსმალეთის მოწინავე ხალხს ჰგონია რომ ომი ბოლოს რუსეთთან მოუხდებათ—მეტით, აბა, რით აიხსნება სერბიისა და ბოლკარიის აყაყანება. თუ რუსეთს ხელი არა აქვს ამ საქმეში, ისე ისინი ვერას გაბედვენ, როგორც მისი გათავისუფლებული ხალხი. ახლა სტამბულოვი ხომ ალარ არის ცოცხალი, რომ ბოლკანეთის აყალ-მაყალი ავსტრიის ბრალი იყოს. სერბია, ბოლგარია და დანარჩენი ბოლკანეთის მთავრები რუსეთის სიტყვას ვერ გადავლენ. რუმინია კი, შეიძლება, ჩვენ მოგვემხროს, რადგან რუსეთზე გულნატკენათ არიან ბესარაბიის შესახებ, მაგრამ თუ რუსეთმა ბოლკანეთი გამოალაშქრა ჩვენზე, მაშინ გარდა რუმინიისა სხვა სახელმწიფოსაც ვიშოვნით მომხრეთაო.

იასე რაჭველი.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ამ თვის 6 გარდაიცვალა ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ დირექტორი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა თავ. დ. ი. ავალიშვილი. განსვენებული ბანკს ემსახურებოდა თითქმის დაარსებიდანვე, ხან როგორც დირექტორი, ხან როგორც წევრი ზედამხედველ კომიტეტისა. ის დიდათ დახელოვნებული და გამოცდილი იყო ბანკის საქმეში.

***

ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ ყურადღება უსუფთაობას, რომელიც სუფევს საბალოსნო სკოლის ბაღის ერთ კუთხეში. ვერ წარმოიდგენს ადამიანი, თუ როგორი სიბინძურე ყრია აქ. ძაღლი მოუკვდება ვინმეს, კატა, ქათამი, ყველა აქ მოათრევს, და ეს მძორი სხვა სიბინძურესთან ერთათ შხამავს აქაურ არემარესო. გასაკვირველია, თუ პოლიცია ყურადღებას არ აქცევს ამას, რატომ სკოლის მმართველობა არ ეცდება, რომ გაასუფთაოს ეს ბუდე ყოველი უწმინდურობისა.

***

კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით, ამიერიდან საქველ-მოქმედო დაწესებულებათ ლატარია-ალეგრის გამართვის ნება ალარ მიეცემათ.

***

ქალაქის სასანიტარო სამკურნალო საბჭომ გადასწყვიტა აკრძალოს ესრეთ წოდებულ „სპარსული ლიმონადის“ გაყიდვა, რადგან ეს სასმელი ლაბარატორიის გამოკვლევით მეტათ მავნებელი ყოფილა.

***

ბათუმში 1-ლ სექტემბერს გაიხსნება ვაჟების გიმნაზია.

***

გადაწყვეტილია, რომ ამ ცოტა ხანში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მოხსენებით გაიხსნას ათიოდე სხვა-და-სხვა გვარი სახელოსნო და ტეხნიკური სკოლები კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეში.

***

როგორც გაზეთი „მწყემსი“ გვატყობინებს, იმერეთის ღარიბ მრევლის საკრებულოსთვის მთავრობას დაუნიშნავს ჯამაგირი: მღვდლებისთვის სამას-სამასი მან., მედავითნეებისთვის ას-ასი მან., სულ—17,000 მ.

***

გორის ანასტასიას საქალებო პროგიმნაზიაში მისაღები ეგზამენიები დანიშნულია 26—27 აგვისტოს, ხოლო მეორეთ გამოცდა 28 აგვისტოს.

სამოსწავლო სემენარიაში განმეორებითი ეგზამენები დანიშნულია 26 აგვისტოს, შესასვლელი ეგზამენები კი 27 და 28.

ქუთაისის გიმნაზიაში მოსამზადებელ და პირველ კლასში შესასვლელი ეგზამენები მოხდება 26 და 27 აგვისტოს, განმეორებითი ეგზამენები კი ყველა კლასებისთვის 21, 22, 23 და 26 აგვისტოს.

ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტში მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოდან, მასთან მოთავსებულ სამოქალაქო სასწავლებელში კი 26 აგვისტოს.

ტფილისის პირველ საქალებო გიმნაზიაში განმეორებითი და მისაღები ეგზამენები მოხდება 25, 26, 27 და 28 აგვისტოს.

მეორე საქალებო გიმნაზიაში კი ეგზამენები დაიწყება 21 აგვისტოდან.

ტფილისის დედათა 3 გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები მოხდება 25, 26, 27 და 28 აგვისტოს. განმეორებითი 21, 22 და 23 აგვისტოს.

***

„Русское Богат.“-ს ივლისის წიგნში ბ. იუჟაკოვმა დაასრულა განხილვა რუსული ენის, გეოგრაფიის და ისტორიის სახელმძღვანელოებისა. ამ განხილვიდან ავტორმა არა სასიხარულო დასკვნა გამოიყვანა. სახელმძღვანელონი სრულიად უვარგისნი გამოდგნენ. „ამის გამო, შენიშნავს იუჟაკოვი, ,,მოზარდი თაობა მოკლებულია იმას, რომ ნამდვილი ლიტერატურული ენა შეისწავლონ, სხვა საგნებში კი ითვისებს რაღაც ნაფლეთ-ნაფლეთ უაზრო ცოდნას, რომელიც ხშირათ ტყუილია, სრულიათ მოგონებული.“ რომ ბევრი სახელმძღვანელოები უკუღმართათ შემდგარია, ამას ლაპარაკი არ უნდა, რომ მათი უვარგისობა ათახსირებს მოზარდი თაობის ჭკუა გონებას—ესეც აშკარაა, მაგრამ როგორ უნდა უშველოს კაცმა საქმეს? აქ საყურადღებოა ბ. იუჟაკოვის აზრი. იგი ამბობს, რომ „სანამ სახელმძღვანელო გამოქვეყნდებოდეს, იგი უსათუოდ უნდა წარედგინოს სამეცნიერო აკადემიას, შესაფერ ფაკულტეტს უნივერსიტეტისას ან და სხვა რამ დამოუკიდებელ დაწესებულებას. გარჩევა სახელმძღვანელოსი უნდა იყოს საქვეყნოთ, საჯაროთ, იგი უნდა დაიბეჭდოს სავსებით. მხოლოთ ამას შემდეგ შეიძლება წარედგინოს სახელმწიფო მოხელეებსო.

ყოველი სახელმძღვანელო ზრდის ერის ახალ თაობას, მაშ მისი დაფასება ერის საუკეთესო ნაწილსაც უნდა მიენდოს, შეიძლება კაცმა პური უბრალოთ, სამეტოქეოთ გაუშვას ბაზარში, მაგრამ გონების საფუძვლის ჩამყრელი სახელმძღვანელო ათასი აწონ-დაწონის და კრიტიკის ცხრილში გავლის შემდეგ უნდა დაინახოს ქვეყანამო“.

***

ჟურნალ ,,მოამბის“ მე VIII ნომერში დასტამბულია ფრიად საყურადღებო წერილი ჩვენი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილისა. ეს წერილი შეეხება სწავლა-განათლების საქმეს ჩვენში. თავდა-პირველათ ბ. გოგებაშვილი შენიშნავს, რომ თუმცა, როგორც ყველამ კარგათ იცის, თფილისის გუბერნიის მკვიდრნი ქართველები არიან, მაგრამ სტატისტიკური ცნობები გვეუბნებიან, რომ ქართველ მოსწავლეთა რიცხვი სხვა-და-სხვა საშუალო სასწავლებლებში საზოგადო რიცხვის, ერთი მეხუთედის ცოტა ნაკლებია. მაგალითათ, ვაჟთა გიმნაზიებში ქართველები 18,4% შეადგენენ. რეალურ სასწავლებელში—3,3% და დედათა გიმნაზიებში—12%. ამასთანავე, შენიშნავს ბ. გოგებაშვილი, ყურადღების ღირსია ის მოვლენა, რომ ზოგიერთ სასწავლებლებში ამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ქართველ მოსწავლეთა რიცხვი დღითი-დღე კლებულობსო. მაგალითათ, საოსტატო ინსტიტუტში და სამასწავლებლო სემინარიაში ქართველების რიცხვი სულ შემცირდა.

ზემო აღნიშნული მიზეზის ახსნა გარდა სიღარიბისა, უნდა ვეძიოთ ახლანდელი სკოლების წეს-წყობილებაში. ყველამ კარგათ იცის, რომ სასწავლებლებში შეკირდებს ღებულობენ გამოცდით, მეტოქური ეგზამენით. გამოცდა კი წარმოებს მხოლოთ რუსულ ენაზე. აქ აშკარაა, რომ უპირატესობა იმას ეკუთვნის, ვინც რუსული ენა უკეთ იცის. ქართველს კი, როგორც სოფლის მცხოვრებს, არ შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს ქალაქის მცხოვრებ სხვა ერის წარმომადგენელთ, რადგან ქალაქში კაცი ყოველთვის უფრო ვარჯიშობს რუსულ ენაში ვინემ სოფელში. ამიტომ რომ ქართველები არ ჩამორჩენ სწავლა-განათლებაში, საჭიროა განსაკუთრებით ქართველებისთვის დაარსდეს სამაგალითო მოსამზადებელი კლასები, თავისი საკუთარი პანსიონით. აქ სწავლა უნდა იყოს ქართულ ენაზე და რუსული ენის შესწავლაშიც საშობლო ენა სარჩულათ დაედება მას. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ქართულ ენის სწავლება, რომელიც დღეს თითქმის შეწყვეტილია საშუალო სასწავლებლებში, უწინდებულათ იქმ-

ნას აღდგენილი. გარდა იმისა, რომ ეს ენა იქნება როგორც საგანი, მაზედ უნდა სწარმოებდეს ერთი საგნის შესწავლა უსათუოთ. ეს საგანი არის საღვთო რჯული. ყველა სხვა ეროვნების შვილნი საღმთო რჯულს თავიანთ სამშობლო ენაზე სწავლობენ, ქართველები კი ამ ბედნიერებასაც მოკლებულნი არიან. მაგრამ მარტო საშუალო სასწავლებლები ვერ დააკმაყოფილებენ ქართველთ. ბევრი მათგანი, როგორც გლეხი, ისე თავად აზნაური, სიღარიბის გამო ვერ შეძლებს თავის შვილების გამოზრდას საშუალო სასწავლებლებში. პირველ დაწყებით სასწავლებელთა რიცხვიც მეტის-მეტი ცოტაა, ასე რომ 10000 სულზე ერთი სასწავლებელი მოდის. აუცილებელათ საჭიროა, რომ ამ სასწავლებელთა რიცხვი გამრავლდეს. ამასთანავე ისიც კარგი იქნება, რომ დრო სწავლისა სამის წლის მაგიერ ოთხ წლათ გადააქციონ. მაგრამ აქ ვერ ვეთანხმებით ბ. გოგებაშვილს, თითქო „სწავლის ცოტა დრო უმთავრესი მიზეზია სოფლის სკოლების უნაყოფობისა". ტყუილათ გვეგონება, რომ რასაც ადამიანის მოქმედება ახდენს, იმას დრო გაასწორებსო. ეს შემცდარია, რადგან ჩვენი სკოლების უნაყოფობას იგივე მიზეზი აქვს, რაც იმ „სამწუხარო მოვლენას, რომ გლეხ-კაცობა ბევრ ადგილას წინააღმდეგია სოფლის სკოლებისა". საზოგადოთ ბ. გოგებაშვილის-მიერ წამოყენებული კითხვები მეტის-მეტათ საყურადღებოა და ღირსია იმისი, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ და სხვა შეგნებულებმაც გაიხადონ იგი ლოზუნგათ თავისი მოღვაწეობისა.

## „კვალის" კორესპონდენციები.

ბურია. როგორც იყო თ. გურიელების საშვალებით ალეძარით საჩივარი მთავრობის წინაშე, რომ სადგურ ლანჩხუთსა და სუფსას შუა-ალაგას დაენიშნათ პლატფორმა.

მთავრობამ შეიწყნარა ჩვენი თხოვნა და ნაცვლათ პლატფორმისა გამოგვეცხადა: სოფელს ებალაურში არსდება სადგური, სახელწოდებით „ჯუმათი"-ო.

იმედი გვქონდა აქ მგზავრებისათვის ბილეთებიც გაიცემოდა, როგორც სხვა სადგურებზე და ნაწარმოებიც აქედან გაიგზავნებოდა. მაგრამ ეს იმედი არ გაგვიმართლდა.

ყოველ დღე აქ ცარცვა-გლეჯის მეტი არასფერია; ისე კვირა არ გაივლის, რომ კონდუკტორი არ ყვიროდეს: „ვაგონი გაგვიტეხესო"!. და სხვა. ასეთი საქციელით მრავალი მართალი პირები ხაფანგში ცვინდებიან. აქამდის ერთათ ერთი ჩვენი სარგებლობა სადგურიდან წერილების მიღება იყო, მაგრამ საუბედუროთ ახლა ესეც დაგვიმძიმდა: 3—7 კაპეიკამდის თუ სადგურის მოსამსახურეებს არ მიეცი, წერილს არ მოგცემენ. გვინდა შევიტყოთ, ასეთი გადასახადი კანონიერია თუ არა?

მეთვალყურე.

***

ყვირილა (შორაპნის მაზრა). კვირას, ოცდა შვიდ ივლისს, ქართველ სტუდენტის სასარგებლოთ, დაბა ყვირილაში, წარმოდგენა იყო გამართული.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ბ-ნი ქლენტი და ბ-ნ სისორდიას ქალები, რომელთაც ყოველნაირი შრომა გასწიეს, რომ წარმოდგენას ბევრი ხალხი დასწრებოდა.

წარმოდგენა ცხრა საათზე დაიწყეს. მონაწილეობას იღებდენ ზემოხსენებული ქალები, ბ-ნი კ. კაცხელი, საყვარელიძე, ქლენტი, და ა. არაბიძე. წარმოდგენამ შვენიერათ ჩაიარა, რომელსაც დიდ ძალი ხალხი დაესწრო, და ნასიამოვნებიც დარჩა.

ლ. უნაგირ მთელი.

***

მდინარევ, ჩემი სამშობლო მთების
ჩამონაბანო მჟავ-მკერდისა,
კანჯართან ერთათ ტინში ნაშობო,
საიდან მოგაქვს ეგ ფრთა ტრედისა?

ჩანს სწრაფმა ტყვიამ შეუბრალებლათ
შუა გააპო ფრინველისა გული
და ცელქ ნიავმა გამოიტაცა,
ველს გააბნია მისი ბუმბული.

აჰა, ბედკრულო, შენ ჩემო გულო,
წყალს შეუერთე ობოლი ცრემლი,
რომ იმ ლურჯ ფრთასა წამოეწიოს
და ჩაირბინოს ჭალა და ველი.

ვით მანანა ზედ დაეფკუროს,
ბუმბულს მოესხას ცვარათ და ცვარათ,
შენი ფრთაც გვერდზე მას წამოუდოს,
და ორნივ ერთათ ლტოდენ მთა-ბარათ.

ი. ევდოშვილი.

# წერილები ინგლისიდან.

## V. *)

### როგორ ატარებს დროს ინგლისელი.

ბურთაობა ინგლისში რომაელებს შემოუტანიათ. ეს ინგლისელთა ძველის-ძველი სათამაშოა. პირველათ ის იხსენიება 1175 წ. გამოსულ „ლონდონის ისტორია“-ში: ერთი ახალგაზდა მოქალაქე ყოველ დღე ნასადილევს გადიოდა მინდვრათ და ფეხით ბურთს თამაშობდაო. ბურთაობა ისე მხეცურათ წარმოებდა, რომ მეფე ჯემს I დაიბარა: ჩემმა მემკვიდრემ არასოდეს გამოჩენილათ ბურთი არ ითამაშოსო. არისტოკრატია ბურთაობას ერიდებოდა, ეს ხალხის საქმეაო. უმთავრესი საბურთაო დღე იყო დიდ მარხვის პირველი სამშაბათი. ამ დღეს დიდი და პატარა, ქალი და კაცი ბურთაობდა. დუქნები, სახლები იკეტებოდა, რომ ხალხს რაიმე ზარალი არ მოეტანა. ეს ძალიან წააგავს ფოთის ბურთაობას, პირველ მაისს. რასაკვირველია, ამ საერთო არეულ თამაშში უბედური შემთხვევები ხშირი იყო. მაგრამ ეს არავის აბრკოლებდა კიდევ და მუდამ ეთამაშა. 1830 წლებში ბურთაობა თავისთავათ გამოვიდა ჩვეულებიდან. ჩვენ ამის მიზეზათ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ სწორეთ ამ დროს განვითარდა დიდი ინდუსტრია, ყველას ფულის შეძენის ციება მოედვა და ბურთაობისთვის არავინ იცლიდა. 1860 წლებში აქ აღორძინდა მილიცია, თავისუფალი სალდათობა. ამან გამოიწვია სხვა-და-სხვა ატლეტური ვარჯიშობა და სხვათა შორის აღადგინეს ბურთაობაც. მაგრამ ახლა მოინდომეს ბურთაობის გაწეს-რიგიანება. 1863 წ. დაარსებულმა „საბურთაო კლუბმა“ შეიმუშავა „საბურთაო დებულება, რაც შეიცავს არა ნაკლებ 60 მუხლისას. აქ განსაზვრულია მოთამაშეთა რიცხვი, სათამაშო მანძილი, გაგორებ-გამოგორება და სხ. თამაშობის უპირველესი კანონია ის, რომ ბურთი არასოდეს ხელით არ უნდა იქმნას აღებული. ის ფეხით უნდა იქმნეს ლელოზე მიტანილი. ამიტომ ამას უწოდებენ Footbale—ფეხით ბურთაობა. ამ ჟამათ ყოველ ქალაქში, დაბა და სოფლებში მობურთაოეთა კლუბია დ თამაშობენ. სხვა-და-სხვა კლუბები ერთმანეთს ეთამაშება. არის ბურთაობა ერთი ქალაქის მეორე ქალაქთან, საგრაფოსი-საგრაფოსთან და აგრეთვე ინგლისს, შოტლანდიას და ირლანდიას შორის. ამას ეწოდება ინტერნაციონალური თამაშობა. ამ შემთხვევაში თამაშობა ასე წარმოებს: ინგლისის მობურთავეთა კლუბები ირჩევენ საუკეთესო მოთამაშეთ დ გზავნიან დანიშნულ ადგილას, ასევე იქცევა შოტლანდია დ ირლანდია. თამაშობას ესწრება აურებელი რიცხვი მაყურებლებისა; ბრიტანიის იმპერიის ყოველი კუთხიდან ხალხი მოდის. ასე რომ ეს დღე ნაციონალურ დღეთ ითვლება. გასულ წელს ბურთაობაში ინგლისმა დაამარცხა ირლანდია, და თვითონ დამარცხებულ იქმნა შოტლანდიის მიერ. გამარჯვებულნი ხდებიან გმირებათ. მათ ხატვენ ყველა გაზეთში და ჟურნალში, მათზე ლაპარაკობს ყველა, ბეჭდვენ არა თუ მათ და მათი მშობლების ბიოგრაფიას, არამედ იმასაც თუ რამდენი გოჯი სიმაღლე და სიგანეა, რამდენ ფუთს იწონს და სხ. ამ პირებით ამაყობს გამარჯვებული მხარე. ინგლისში ერთ ცნობილ მოთამაშეს უფრო მეტი სახელი აქვს, ვინემ ცნობილ მწერალს, პროფესორს, ფილოსოფოსს და სხ.

კრიკეტი. ეს ძალიან წააგავს ჯაფარიკას, რომელსაც გურიაში ბავშები თამაშობენ. დაასობენ ერთ რგვალ ჯოხს, თავზე დაადებენ ერთ რგვალ რიკს, გაჰკრავენ პატარა ჯოხს და გადაისვრიან, მოპირდაპირე მხარე იჭერს რიკს და ესვრის დასობილ ჯოხს, რომელზედაც მიყუდებულია პატარა ჯოხი. მისი მიზანია ეს მიყრდობილი ჯოხი ჯაფარიკას მოაცილოს. ასე არის გურიაში. ინგლისში კი ცოტა სხვაფერ. აქ დაასობენ ახლო-ახლო სამ ჯოხს; თავზე დაადებენ ერთ მსუბუქ ჯოხს. მის წინ დგას ერთი კაცი ფართო ჯოხით ხელში და მას იცავს მოპირდაპირეს მიერ გამოსროლილ ბურთისაგან. თუ ბურთი მოხვდა და თავზე დადებული ჯოხი გადავარდა, მოპირდაპირე იგებს. უმთავრესი როლს დამცველი თამაშობს. გამოსროლილ ბურთს მან უნდა შემოკრას ჯოხი და უკან დააბრუნოს. ამიტომ კარგი დამცველი ინგლისში დიდ გმირათ ითვლება. თამაშობაში მონაწილეობას ღებულობს არა უმეტეს 22 კაცისა.

კრიკეტიც ინგლისელის ძველი თამაშობაა. მე-16 საუკუნეში ლონდონის ქალაქის მინდორი, სადაც კრიკეტს თამაშობდენ, შელობეს და ბაღათ აქციეს. მოთამაშეებმა უჩივლეს ქალაქს, სათამაშო ალაგი წაგვართვაო. 1593 წ. ეს საქმე ნაფიც მსაჯულებმა გაარჩიეს და დაადგინეს: ღობე აიღოს და ისევ სათამაშო ალაგათ დარჩესო. აქედან ცხადია, თუ რა დიდათ აფასებდენ თამაშობას. 1751 წ. კრიკეტის თამაშობის დროს ტახტის მემკვიდრეს, ფრიდრიხს, მოხვდა ბურთი და გადაიცვალა.

პირველი საკრიკეტო კლუბი დაარსდა 1750 წ. კენტში. კლუბმა შემოიკრიბა ყველა შესანიშნავი მოთამაშენი. 1791 წელს კლუბი დაიშალა და მოთამაშენი განიბნენ მთელ ინგლისში, მას შემდეგ კრიკეტი ყოველგან გავრცელდა. ასე რომ გასულ საუკუნის ბოლო წლებში კრიკეტს თამაშობდა მთე-

*) იხ. „კვალი“ № 32.

ლი ინგლისი და მით იგი გადაიქცა ნაციონალურ თამაშობათ. აგრეთვე შეიმუშავეს საკრიკეტო დებულება. აი რამდენიმე მუხლი: ბურთი უნდა იყოს სიმძიმით არა ნაკლებ $5\frac{1}{2}$ და არა უმეტეს $5\frac{3}{4}$ უნცისა, ირგვლივ კი $9-9\frac{1}{4}$ ინგლისური გოჯა. დამცველის ჯოხი უნდა იყოს სიგანით არა უმეტეს $4\frac{1}{4}$, სიგძით კი არა უმეტეს 38 გოჯისა და სხ. სულ 47 მუხლია.

სხვა-და-სხვა საგრაფო, ქალაქი და კლუბი ერთმანეთს ეჯიბრებიან. შარშან ოქსფორდმა დაამარცხა კემბრიჯი. კრიკეტს თამაშობს განსაკუთრებით მოსწავლე ახალ-გაზდობა. ერთი უნივერსიტეტი ეჯიბრება მეორე უნივერსიტეტს, ერთი სკოლა მეორეს. გასულ წელს ამერიკის და ავსტრალიის სასწავლებლიდან ჩამოვიდენ აქ არჩეული მოთამაშენი და ეთამაშენ ინგლისელთ. უკანასკნელნი დამარცხდენ.

კრიკეტს თამაშობენ აპრილიდან სექტემბრამდე, დანარჩენ დროს კი ბურთს.

ნაოსნობა. ინგლისელს რომ ნაოსნობა უყვარდეს, რა გასაკვირველია. ის ირგვლივ წყლით არის შემორტყმული. სამშობლოს გარეშე ისე ვერ წავა, რომ წყალზე მოგზაურობა არ მოუხდეს. ის მუდამ გემზე, მოგზაურობაზე, შორ ქვეყნებზე ოცნებობს. ის ბავშობიდანვე ეჩვევა წყალს; როცა პატარა ქალი დედოფალას თამაშობს პატარა ვაჟს ხელში პაწია ნავი უჭირავს და წყლის პირას მირბის. მას ნავით წყალზე თამაშობა არ მოწყინდება. თუ ნავი (ნავია იალქნით) გადატრიალდა ან და კარგათ არ მიდის, მიაქვს შინ და თვითონ ასწორებს, ან და გამკეთებელს ეტყვის: ეს და ეს არ არის სწორე და შეაკეთეო. ამით ის სწავლობს ნავის და ნაოსნობის ყველა მხარეებს. როცა წამოიზდება, მან უკვე იცის იალქნიანი გემის ვითარება და მზათ არის მატროსობა გასწიოს.

ინგლისში დიდათ შესანიშნავია კემბრიჯის და ოქსფორდის უნივერსიტეტის ნაოსნობაში გაჯიბრება. თვითოეულ უნივერსიტეტის სტუდენტთ აქვთ სანაოსნო კლუბები. ამათ შორის ჯიბრობაა. საუკეთესო ნაოსანთ თავიანთი ნავით ნიშვნენ მეტოქე უნივერსიტეტთან გასაჯიბრებლათ. დღე მათი გაჯიბრებისა ითვლება ნაციონალურ დღეთ. ეს წარმოებს წელიწადში ერთხელ, გაზაფხულზე. ჩვენ აქ მოკლეთ ავწერთ ერთ ასეთ შემთხვევას, რომელიც მოხდა 3 აპრილს (21 მარტს) ლონდონის ახლოს, მდინ. ტემზაზე. აქაც ჩემ დღიურს მივმართავ.

,,3 აპრილი. დღეს 2 საათზე მოხდა ის, რასაც ასე გაფაციცებით მოველოდენ. ოქსფორდის და კემბრიჯის სტუდენტები შეეჯიბრენ ერთმანეთს, საიდანაც პირველნი გამოვიდენ გამარჯვებულნი. — სირცხვილი კემბრიჯს, ეს ათი წელია სულ ის აგებს!

ჭეშმარიტებისათვის ბრძოლა და დავიდარაბა წარმოებს და ბოლოს მაინც ჭეშმარიტება იმარჯვებს. რაც შეეხება კონცერტს, ინგლისელს ესეც სხვანაირათ ესმის. შედით საკონცერტო სახლებში და ნახავთ 1000 – 5000 მომღერალს და 20 – 40 ათას მსმენელს. აბა რა კონცერტი უნდა იყოს ის, სადაც 5 ათასი კაცი ერთათ ამღერდება! ინგლისელს კი ეს მოწონს.

ინგლისელის დროს გასატარებელ ალაგს შეადგენს აგრეთვე კლუბი. კლუბი წმინდა ინგლისური დაწესებულებაა. პირველათ კლუბი შეიცავდა უბრალო ყრილობას ქეიფის თუ სხვა მიზნისათვის სამიკიტნოში. ასეთი ყრილობა ხდებოდა ყველა ცნობილ სამიკიტნოში და ერქვა თავ-თავისი სახელი. ყველაზე უძველესი კლუბი იყო ,,პარასკევის ქუჩის კლუბი" და ,,პურის ქუჩის კლუბი". ამათი წევრი იყო სხვათა შორ-ს შექსპირიც. ერთი მეთვრამეტე საუკუნის მწერალი ამბობს: ,,თანამედროვე შესანიშნავი კლუბების საფუძველია ჭამა სმა, ე. ი. ის ორი საგანი, რომელზედაც კაცობრიობის უმრავლესობა თანახმაა და რომელიც ერთ სტოლზე თავს მოუყრის სწავლულს და უვიცს, გულწრფელს და გულჩახვეულს, ფილოსოფოსს და შალატანს".

გარდა ასეთი კლუბებისა იყო აგრეთვე კლუბი პოლიტიკური და კლუბი ახირებულთა. პირველს ეკუთვნის ,,ხბოს თავის კლუბი", რომლის წევრნი იყვენ რევოლუციის მომხრენი და 31 იანვარს სტოლზე ხბოს თავს დადგმიდენ ნიშნათ მეფე კარლ I თავისა, რომელიც რევოლიუციამ ტანიდან განაშორა.

მეორე ნაირ კლუბს ეკუთვნოდა: ,,ცრუთა კლუბი". წევრებს სხდომაზე მხოლოდ ტყუილი უნდა ელაპარაკათ. ვინც ყველაზე დიდ და გასაშტერებელ ტყუილს იტყოდა, ის შეიქმნებოდა თავმჯდომარე. შეიძლება ვინმეს ტყუილში მართლის გარევა სურდა, ჯერ ბოდიში უნდა მოეხადა უკაცრავათ ვარ ამის თქმისთვისო. უბოდიშოთ მართლის მთქმელი ჯარიმას იხდიდა.

,,კლუბი მახინჯთა", რომლის წევრი მხოლოთ უშნო და დამახინჯებული სახის კაცი უნდა ყოფილიყო. მირაბო, როცა აქ ამოვიდა, კლუბმა ერთ ხმათ თავის წევრათ აირჩია. მირაბო მაშინვე სხდომას დაესწრო და წარმოთქვა სიტყვა: სხეულის სიმახინჯე და სულის სისპეტაკის შესახებ. ამ კლუბმა სახელი გაითქვა. ერთხელ კლუბმა ყველაზე უფრო მახინჯი წევრი მეფე კარლ II-ს გაუგზავნა მოციქულათ და კლუბის წევრობა თხოვა. მეფემ თურმე ბევრი იცინა.

,,შვენიერთა კლუბი", ამათ დროშაზე ეწერა:

გაჰქრენ. და რამდენსამე წუთში ოქსფორდი პირველათ მოვიდა დანიშნულ ალაგას. ამას ჩვენ ვერ ვხედავთ რასაკვირველია; ხალხი უცდის ამბავს. "ორთქლ-მავალი, რომელიც ნავებს მისდევდა ოქსფორდის და კემბრიჯის ბაირაღით, უკან დაბრუნდა მარტო ოქსფორდის ბაირაღით, რაიცა ნიშნავს ოქსფორდის გამარჯვებას. მის მომხრეებმა ასტეხეს ვაშა და ურა, ხოლო კემბრიჯის მომხრენი კი სულ განაბულნი დაიშალნენ".

მეორე დღეს, კვირას, ყველა გაზეთებში მოათავსეს გამარჯვებულთა და აგრეთვე დამარცხებულთა სურათები. ორივე მხარეს ქება-დიდება შეასხეს. აი ეს ინგლისური სამართლიანობაა. ის ორივე მოპირდაპირეს პატივს სცემს. გაზეთებს სამ-ოთხ დღეს სულ ამაზე ჰქონდათ ბაასი. მათი სურათები გამოფენილი იყო ყველგან და ბევრიც იყიდებოდა. სტუდენტი, რომელიც შეიძლება უკანასკნელია მეცნიერებაში, სწავლა-ცოდნაში, მაგრამ პირველია ნაოსნობაში, სახელოვან კაცათ ხდება. ვინ იცის რამდენი ნიჭიერი და მეცნიერებაში ცნობილი პირი მის სახელს შენატრის!

ყველა ეს ქართველ მკითხველს გაუკვირდება და ეუცხოვება. მაგრამ ეს საკვირველი არ არის. ინგლისელი ნამდვილათ ასრულებს ლათინურ ანდაზას: საღი გონება საღ სხეულშიაო. ის ეთაყვანება საღ სხეულს, განვითარებულ მუსკულებს, გამაგრებულ აგებულებას. ერთის სიტყვით, ის, როგორც ვთქვით, თანამედროვე სპარტანელია. წარმოიდგინეთ ჯერ ეს ერთი: ყოველ წელს ინგლისიდან ნახევარი მილიონი ხალხი სახლდება სხვა-და-სხვა ქვეყნებში. აი, ასეთი სამაგალითო ნაყოფიერების მიზეზი, უეჭველია, მისი მუდმივი ვარჯიშობაა. და მართლაც, ყველგან ცნობილია, რომ ინგლისის ერი საღი, მედგარი, შრომის ამტანი, და ნაყოფიერია. ერთის სიტყვით ასეთი ატლეტური მიმართულება ახალისებს და ახალგაზდებს ერს. ნუ თუ ეს დიდათ საყურადღებო და სანატრელი არ არის?

საზღვარ-გარეთელი.

(შემდეგი იქნება)

# გაკვრით.

## (გზა-და-გზა)

გემით მოგზაურობა ბაქოდან ლენქორანამდე.—ლენქორანი. — მისი ადგილ-მდებარეობა. — ბუნება, — ჰავა,— მცხოვრებთა რაოდენობა.— მკვიდრთა ცხოვრების სახსარი.—ლენქორანის ქართველობა. – მეორე ციმბირი. — ლენქორანის ცხელი წყლები.—მათი მომავალი.—საერთო დაუდევრობა.—

IV *)

(დასასრული)

ამ 40—50 წლის წინათ იმ ადგილას, სადაც ახლა ლენქორანია გადაჭიმული, სულ ორი სამი მოსახლე არ მოიპოვებოდა. დღეს კი თითქმის ათიათასამდე კომლი მცხოვრები ითვლება [1]) დ̃ ეს რიცხვი თან და თან მატულობს. ერთ დროს სალდათების საყარაულოს მეტს ვერას ნახავდა აქ კაცი და დღეს კი ლენქორანი დაგეგმილია, რიგიანი ფართე და სწორე ქუჩები აქვს. შენობებსაც კარგებს შეხედებით, და საზოგადოთ კარგი მომავალი ექნება ლენქორანს თუ მალე გაწმინდეს ჭაობებისგან და მზრუნველობა მალე გაუწიეს: როგორც სამაზრო ქალაქში, ლენქორანში არსებობს სამოსამართლო დაწესებულება, სამაზრო მმართველობა, ფოსტა-ტელეგრაფი და „კლუბიც" კი. პოლიციის ბოქაულის კანცელარიასა, სატუსაღოსა და ლაზარეთს აბა რაღა ხსენება უნდა, რადგანაც სადაც რუსეთის მფლობელობაა, აქ სატუსაღოსა დ̃ ბოქაულს უთუოთ შეხვდებით, მხოლოთ ლაზარეთიც კი იმიტომ არის საჭირო, რომ აქ ბინადრობენ ეგრეთ წოდებული „მესტნაია კომანდას" ჯარის-კაცნი.

ადგილობრივ მკვიდრთა უმრავლესობა მაჰმადიანები არიან. მერე, – ჩინოვნიკობა სხვა და სხვა რჯულისა და ეროვნებისა და შემდეგ გადმოსახლებულნი, ძალიან დაფუძნებულნი ლენქორანში, როგორც მაგალითათ რუსეთის სხვა-და-სხვა მწვალებელნი. აქვე ცხოვრებს თვალსაჩინო რიცხვი სომხებისა და ურიებისა, რომლებიც ყველაზე უფრო შეძლებულნი არიან და ვაჭრობას მისდევენ. მცხოვრებთა სხვა და-

---

*) იხ. „კვალი", № 30.

[1]) ნიშანდობლივ რა ციფირსს უდრის ლენქორანის მცხოვრებთა რიცხვი, ვერ გავიგე, თუმცა ვიკითხე იქ, სადაც ჯერიყო.



ნავთის ჭები ბალახანში (ბაქოს გუბერნია).

სხვაობის თუ მათი ბინადრობის მიხედვით ლენქორანი შეიძლება გაიყოს სამ ნაწილათ. და, მგონი, ასეცა ჰყოფენ, როგორც ყური მომიკრავს ლაპარაკის დროს. პირველ ნაწილსა ჰქვიან ციხე (კრეპოსტი). აქ, ლენქორანის დაპყრობის დროს 30-იან წლებში აგებული ყოფილა სიმაგრე მეციხოვნეთათვის, მეორეს უწოდებენ „ფორშტატს“, აქ დასახლებულნი არიან განსაკუთრებით „რუსი-მეშაფათეები“.

მკითხველს უეჭველია ეცოდინება, რომ მართმადიდებლობით განთქმულ რუსებს შიგა-და-შიგ ბევრ გვარი მწვალებლები ჰყავთ ე. ი. არის ისეთი თემი, ისეთი საზოგადოება რუსებისა, რომელთაც უარ ჰყვეს მართმადიდებლობა და სხვა-და სხვა ნაირათ დაიწყეს სარწმუნოების აღსარება. თითქმის მომეტებული ნაწილი ამ მწვალებლებისა წინაალმდეგნი არიან აწ. არსებულის წყობილებისა; მართლმადიდებლებს ანტიქრისტეებათ იხსენიებენ და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი შეურაცხყოფა მიაყენონ მთავრობას. უმცირესობა ამ სექტანტებისა (მწვალებლების) კი, ყველაფერში ემორჩილება მთავრობას, მხოლოთ იმ თავითვე უარ ნაყოფი აქვთ მართლმადიდებლობა. ერთი ამ მწვალებელთაგანი არიან „მეშაბათეები“ (სუბოტნიკი.) რომელთაც მეშაფათეები იმიტომა ჰქვიანთ, რომ წინ წასვლის მაგიერათ უკან დაიხიეს—დასტოვეს ქრისტეს მცნება და ებრაელების სარწმუნოების აღსარება დაიწყეს... ამას გარდა ალბათ ისიც მოეხსენება მკითხველს, რომ მწვალებლებს საშინლათ დევნის მთავრობა და ყოველ ღონეს ცდილობს, თუ სულ ვერ მოარჯულებს, მოაშოროს მაინცა რუსთა მუჟიკებს, სადაც შეიძლება გავლენა იქონიონ და სხვებიც თავისკენ გადაიყვანონ, რაც მთავრობისთვის სახეირო არ არის. დიახ, მთავრობა ცდილობს (უნდა ეცადოს, მაშ!) რომ „მწვალებლები“ განდევნოს იმ ადგილებიდან, სადაც შეიძლება უფრო ფეხი მოიკიდონ, რადგანაც რუსის გლეხი იმდენათ უვიცი, დაქვეითებულია, რომ შეიძლება ადვილათ შეცდეს, (სხვა-და-სხვა მიზეზებიც რომ სახეში არ ვიქონიოთ.) მით უმეტეს, რომ ანდაზაც კი არის გამოთქმული „что ни баба, то и толкъ, что ни мужикъ, то и вѣра.“ აი, რამდენიმე ოჯახი ამ „სუბოტნიკების“ გადმოსახლებულ იქმნა ლენქორანში მის დაპყრობასათანავე და დღეს ისე გამრავლდა რომ თითქმის ნახევარ ვერსის სიშორეზე გაუჭ-მავთ შენობები. ამათ გარდა ლენქორანის მაზრაში ათას გვარი სხვა რჯულის და თემის მწვალებლები მოიპოვებიან. აქ შეხვდებით „სტარობრიადცებს“, „მღვდლიანებს“ და „უმღვდლოებს“ „მალაკნებს“, და ისეთ საზიზღარის რწმენის მიმდევართაც კი, რომელთა სარწმუნოება ნათლათ მოწმობს მუჟიკის დაქვეითებას... მაგალითათ, „ხლისტებს“.

მესამე ნაწილი ლენქორანისა,—მაჰმადიანთა უბანი—დასახლებულია მაჰმადიანებით (სპარსელებით), ამათ კიდევ სულ თავისებური ცხოვრება აქვთ...

ზევით მოგახსენეთ, რომ ლენქორანში საკმაო რიცხვია სომხების-მეთქი, ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სომხები უფრო მდიდრათ ცხოვრებენ აქ, ზოგიერთი მათგანი მილიონებს ატრიალებს, თუმცა მათ, როგორც ამბობენ მომსწრენი, „პოვრობასა“: და „კუჩრობაში“ გაუტარებიათ სიცოცხლე.

ქართველები კი არ არიან ლენქორანში? იკითხავს ცნობის მოყვარე ქართველი მკითხველი. არიან ქართველებიც, ჩემო ბატონო, მაგრამ აბა, რა გითხრა მათ შესახებ. ღვთის წინაშე ვაპირებდი კი გამეხარებინა ჩემი მკითხველი უცხო მხარეს გადალუპული ქართველის კეთილ-დღეობის აღწერით, მისის ვაჟკაცობა-მამული-შვილურის გრძნობით აღფრთოვანების გამოხატვით, რადგანაც მრწამდა, რომ თავის სამშობლოს მოშორებული ქართველი არ შეიძლება თავის ვინაობას მაინც არ უკვირდებოდეს მეთქი, მაგრამ... მოვტყუვდი და შენც უნდა მაპატიო, ჩემო გულ-კეთილო მკითხველო!.. ამას წინათ („კვალი“ № 24) ჩემ თავს ნება მივეცი და საზოგადოთ ქართველების ცხოვრებას შევეხე. თუ წაგიკითხავს, უეჭველია, გეხსომება კიდეც მისი შინაარსი—სწორეთ, სამწუხაროთ, იმ წერილის სრული დამასაბუთებელია აქაური ქართველების ცხოვრება. მეტის თქმა აქაურ ქართველების შესახებ საჩოთიროა, რადგანაც თითებზე ჩამოითვლებიან და მეფიქრება, ვაი თუ პირად შეურაცხყოფათ მიიღონ. საზოგადოთ დაკნინებულ, გადარჯულებულ და ვინაობა დავიწყებულ ზოგ-ერთ ქარველებზე ლაპარაკი, ერთით კი, ან რა საწყენი უნდა იყოს ვისთვისმე. ის ფაქტი, რომ ქართველი კაცი რომ სხვა რჯულის ქალს შეირთავს და ოჯახს ქართველურ ელფერ გამოაცლის, იმისი საქმე წასულია, მეტადრე თუ ის კაცი არც ზნეობითა და არც გონებ-თ არ გაწაფულა, არ გაბრძოლებულა, რა საწყენი უნდა იყოს ვ-სთვისმე, რომ ითქვას; თუმცა თანამედროვე ქართველი კაცი ისტორიული ერის შვილია, იმ ერისა, რომელსაც თავისი დიდებული ლიტერატურა, კულტურა, თავისუფალი ცხოვრება და სხვა წარჩინებულ ერთა არ ნაკლები სახელი და დიდება ჰქონია, დღეს, წელში ილუნება, სამარცხვინოთ და საზიზღრათ იქოჩება, როდესაც ქართველობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, იმის მაგივრათ რომ იამაყოს ქართველობით, პირ იქით ცდილობს დამალოს თავის ვინაობა და თავის ჩრდილს მოწიწებით ეპყრობა, ჩემ უფროსს არ აეყუდოს და ქართველურ „უზრდელობათ“ არ ჩამომართვასო. ან ის რა საწყენია, ითქვას, რომ დიპლომოსანი ქართვე-

ლი ყმაწვილი კაცი, რომელსაც მაღალ-სასწავლებელში ყოფნის დროს მოწიწებით შეცქერის ქართველი საზოგადოება, რომელიც იდეალათ გაუხდიათ ჩვენ გასათხოვარ ქალებს და რომელზედაც ათასნაირათ არიან დაიმედებულნი, ჯერ სასწავლებელშივე ყოფნის დროს, თუ არ თვალთმაქცობს და თვალს არ უხვევს საზოგადოებას, სწავლის გათავებას შემდეგ ხომ ნამდვილი ,,ჩინოვნიკი“ ხდება და იმედი გვიცრუვდება. (მე აქ უმრავლესობაზე მოგახსენებთ).

ლენქორანის ქართველები—სულ ჩინოვნიკები არიან ე. ი. აქაურ სხვა-და-სხვა დაწესებულებაში მოსამსახურენი. ,,ლუკმა პური“ რომ აქვთ ეს ეჭვს გარეშეა, ხოლო აქვთ თუ არა ერთი ერთმანეთში მისვლა-მოსვლა, რაიმე ძმური, ან თავისებური დამოკიდებულება, სწორე მოგახსენო, არ ვიცი. ან კი საიდან უნდა ჰქონდეთ რაიმე ,,საერთო“. ერთი რომ, მაგალითათ, პირველ ხარისხოვანი მოხელეა (ლენქორანთან შედარებით) მეორე—მესამისა—ან მეოთხისაა და, აბა, როგორ ეკადრებათ ერთმანეთთან სიარული. როგორ იქნება უფროსმა (სამსახურით) უნცროს თავი გაუყადროს. ეს ხომ „მუნდირის“ შეგინება იქნება; წარმოიდგინეთ აქ არც ერთს ქართული ჟურნალ-გაზეთი არ მოუდის, თუმცა კი ყველას იმდენი აქვს, რომ შეუძლია ერთის მაგივრათ ყველა ჩვენი პერიოდული გამოცემები გამოიწერონ. იყო კი აქ ერთი ქართველი ყმაჩვილი კაცი, გ.—ს—ძე და ისიც სხვაგან გადაიყვანეს—სამსახურში, (ამას ქართველი ქალი ჰყავს ცოლათ. დანარჩენ აქაურ ქართველებს არც ერთს არ ჰყავს ცოლათ ქართველი ქალი, თუმცა კი ყველა ოჯახიანები არიან. ასე რომ ლენქორანში ფაქტიურათ ქართველი ოჯახი არ არის. *)

აი, ასეთი არევ-დარევა რომ არის ლენქორანში ძალათ დასახლებული ქართველისათვის ლენქორანი სწორეთ მეორე ,,ციმბირია“, თუმც ჩვენ სამშობლოზე ციმბირივით ძრიელ დაშორებული არ არის... მაგრამ რა მარტო ქართველი კაცისათვისა, თუ ლენქორანში მამული არა გაქვს, არ სამსახურში არ ხარ, უსაქმობით სული ამოგივა და მკვიდრისათვის, ხომ კარგათა გრძნობ, მეტი ბარგი უნდა იყო. სახეში რომ არ ვიქონიოთ ზემორე მოხსენებული ჰავა, სინესტე და არარაობა ლენქორანისა—ისიც ნამდვილი ,,ციმბირულია“ რომ არ შეგიძლია საზოგადოებაში გაერიო (და არც არის აქ ,,საზოგადოება“). არ შეგიძლია შენი ავი და კარგი სხვის მეოხებით აწონ-დაწონო, იგრძნო რომ ადამიანი ხარ და ადამიანური ყურის მგდებელი თუ არა დამრიგებელი მაინცა გყავს. ამაზე მეტი ,,ციმბირი“, მგონი, არც ნამდვილი ციმბირი იქნება.

ახლა ვიკითხოთ, რაა უმთავრესი სახსარი მკვიდრთა ცხოვრებისა?

ლენქორანში, როგორც ყველგან, როგორც უკვე მოგახსენეთ, მომეტებულათ მოსული, ბედის მაძიებელი ხალხია. ესენი, რასაკვირველია, სავაჭროთ არიან მოსულნი ან მოსულან და ზოგი ერთ მათგანთ თვალ საჩინო ქონება შეუძენიათ (ურიებს და სომხებს). მაშასადამე ზოგნი ვაჭრობენ, ზოგნი, სუბოტნიკები, თევზის ჭერას მისდევენ, ზოგნი, მდიდარი ნაწილი მაჰმადიანებისა, ვაჭრობას გარდა, ტყის მრეწველები არიან. ხოლო დანარჩენების ცხოვრების უმთავრესი სახსარი კი—მიწათ მოქმედებაა და მომეტებულათ გავრცელებულია მარტო ერთი დარგი მეურნეობისა, ეს გახლავთ ბრინჯის მოყვანა. მთელი ლენქორანის მაზრა, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, მოდებულია საბრინჯე ყანებით, რომელსაც აქ ,,ჩალტიკს“ უწოდებენ. აქაური მუშა ხალხი—მაჰმადიანი ამ ბრინჯის მოყვანას ანდომებს დროს, ჯანს და ღონეს და ამ ბრინჯის მოსვლაზეა დამოკიდებული ბედი და უბედობა აქაური მიწის მუშა მაჰმადიანებისა. ჩვენში არც ერთი ჭირნახული არ არის ისეთი საწვალებელი მოსაყვანი, როგორიც ბრინჯია—და ამიტომ უფრო აძაბუნებს და ავათმყოფებს აქაურ გლეხს მისი მეურნეობა... მაგრამ, რადგანაც მეტათ საგულისხმო საყურადღებოა—ბრინჯის მოვლა-მოყვანა და მასზე გაკვრით ლაპარაკი კი მოუხერხებელია, ამ ჟამათ გვერდს ვუქცევ ამ საგანზე ლაპარაკს, იმედი მაქვს რომ, ახლო მომავალში, ცალკე წერილით, უფრო დაწვრილებით გავაცნობ „კვალის“ მკითხველებს, როგორც ბრინჯის მოყვანის საქმეს, ისე მაჰმადიანთა ზოგიერთ ზნე-ხასიათს.

—

თუ პოლიციის „პროტოკოლების“ და საზოგადო საბუთის ქაღალდების გარდა ლენქორანი იხსენება სადმე, ეს—სხვათა შორის ცხელის წყლების ბრალიცაა. დასახელებული წყლები მდებარეობენ ლენქორანიდან 12 ვერსის მანძილზე, სამხრეთ-დასავლეთით, შუა სახელმწიფო ტყეში. აქ ერთ ადგილს პატარა ველ-მინდორიანი გორაკია და აი ამ გორაკის ფერდობში, რომელიც ხევში ჩასდევს, რამდენსამე ადგილას გამოდის მარგებელი წყლები სხვა-და-სხვა ტემპერატურისა. კარგა ხანია რაც ამ წყლებს ბაქოს გუ-

---

*) დამავიწყდა მეთქვა, რომ აქ საკმაო რიცხვია მოხელეთა პოლონელთაგან, რომელნიც მეტის მეტ მეგობრულათ ცხოვრებენ, ესენი რომ სადამო ჟამზე ხან-და-ხან ერთათ შეიკრიბებიან ხოლმე, ბაღში ან სხვაგან და დიდი და პატარა ერთმანეთს ემასლაათებიან სამშობლო ენაზე—გული გაგინათლდებათ.

ბერნიის სახელმწიფო მამულების მმართველობა იჯარით აძლევს კერძო იჯარადრებს, რომელთაც აქ მოუხერხებიათ ვითომდა „ნომრები“ (ათი თორმეტი ფიცრის ოთახია), გაუკეთებიათ ვითომდა აუზები და საწამლებლათ მომსვლელებისაგან თითონ ფულებს იღებენ. (ნომერი — დღეში — 50 კ. თითოჯერ ბანაობა 10 კაპ.)

შარშან ძალიან ბევრი ყოფილა ამ წყლებზე საწამლებლათ და ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ამ წყლების საიჯარადრო ფასმა ოცი თუმნიდან (შარშან ოც და ერთ თუმნათ ყოფილან გაქირავებული) წელს სამოცდა თერთმეტ თუმნამდის აიწია (710 მან.). ამ წყლებში ბანაობა ამ ჟამათ მარტო ზაფხულობით შეიძლება და რგებს თურმე სხვა-და-სხვა ქარებს, დედათა ავათ-მყოფობას, დამბლობას და სხვა. საკვირველ ამბებს ლაპარაკობენ აქ, ამ წყლების მარგებლობის შესახებ. მაგალითათ, ერთმა სარწმუნო კაცმა მიამბო შემდეგი: „ამ სამი თუ ოთხი წლის წინათ ლენქორანის წყლებზე ცარიცინიდან მოიყვანეს ერთი მდიდარი ვაჭრის გასათხოვარი კუტი ქალიო. მამა მისს რა ღონის-ძიება არ ეხმარა ქალის მოსარჩენათ, საზღვარ-გარეთაც კი ჰყოლოდა, მაგრამ ვერა ეშველარაო, ბოლოს ვილაცას ესწავლებინა ჩვენი წყლები, მოვიდენ აქა და... შრომამ ტყუილათ არ ჩაუარათ. ერთი თვის წამლობის შემდეგ, საკაცით მოტანილი ქალი გაჯან-სალებული და წელში გამართული დაბრუნდა სამშობლოშიო“. ერთმა მოხუცებულმა მანდილოსანმა კი პირდაპირ თავის თავი აიღო მაგალითათ და მითხრა: „საშინლათ ვიყავ დახუთული და თვალებზედაც ბისტი მქონდა გადაკრულიო... ერთი თვე დავრჩი ლენქორანის ცხელ წყლებზე და მუხლშიაც გავიმალე და თვალებზედაც ბინდი გადამეცალაო“. შეიძლება ყველა ეს ცოტა გადაჭარბებული ან შემთხვევის ბრალი იყოს, მაგრამ ეს კი ეჭვს გარეშეა, რომ თუ გაფთხილებით იბანა კაცმა ამ წყლებში, დიდი მარგებელნი არიან. ამასთანავე არც ის არის დამალული რომ კერძო ექსპლოატატორების ხელში ჩავარდნილი წყლები მეტის მეტ ცუდს მდგომარეობაშია დღეს. რათ უნდა იყოს ასეთი სამკურნალო სიმდიდრე კერძო ვაჭრების ხელში (მათი მიზანი ხომ ვიცით რაც არის საზოგადოთ.), როდესაც ლენქორანის სატყეო დაწესებულებას, სახელმწიფო ქონებათა მმართველობას, შეუძლიან ისე ჰიგიენურათ მოაწყოს ეს აბანოები, რომ არამც თუ ზაფხულში, ზამთრობითაც შეიძლებოდეს წამლობა (რასაკვირველია თუ ზამთრობით წყლები არ სუსტდებიან და ძალას არ ჰკარგვენ. ეს კი დანამდვილებით არ ვიცი). მაგრამ... უკულმართი საერთო დაუდევრობა ყველგან იჩხირება და თუ კავკასიელთ სამუდამოთ არ გვეკარგება ბუნების სიმდიდრე და მისი გულ-კეთილობა, იგი დაუდევრობა ლონიერ სარმს მაინც ურტყავს ჩვენ წინ მსვლელობას. დასავლეთ ევროპაში, რომ კავკასიისთანა მადნები და სამკურნალო წყლები მოიპოვებოდეს ჩვენ პაპასაც კი ეცოდინებოდა მათი მნიშვნელობა-ხოტბა დიდება და ჩვენ ხომ გეოგრაფიულ რუკაზე მაინც ათასჯერ აგვიყვანდენ და ჩაგვიყვანდენ ამ წყლებთან.

განისვენეთ სიმდიდრენო კავკასიისანო, თუ დღეს არა იქნება უკეთეს დროისათვის გამოგვადგეთ!

ამით ვათავებ ჯერ-ჯერობით შენთან საუბარს ჩემო მკითხველო, მხოლოთ ერთსაც კი მოგახსენებ, რომ ბედნიერათ ჩავთვლი ჩემ თავს, თუ ამ „გაკრეჭა-გაფცქვნას“ გამოვლილ წერილებით ცოტათი მაინც მიგახვედრე იმას, რის თქმაც მინდოდა. მაშინ ხომ არც შენ დამემდურები სიტყვის გაგრძელებისა და ამა წერილის ჩემგან დამოუკიდებელ „ნაწყვეტ-ნაწყვეტობისათვის“!

ია ეკალაძე.

ქ. ლენქორანი.

## ლ ო ც ვ ა.

(ლერმონტოვიდან)

როცა ფიქრები, შავი ფიქრები
მტანჯვენ უწყალოთ ისეც ტანჯულსა,
მაშინ ერთ ლოცვას მუდმივ ვზეპირობ
და მით დიდ ნუგეშს ვაძლევ ჩემ გულსა.

—

რალაცა ძალას, ძალას ლვთიურსა
მაშინ ვპოულობ მე იმ ლოცვაში;
რალაც შვენიერ წმიდა-რამ გრძნობას,
გრძნობას ციურსა ვპოულობ მასში.

—

შავი ფიქრები თან-და-თან ჰქრება,
გულიც სხვა რიგათ იწყებს ცემასა...
ილვიძებს რწმენაც, ჰქრება იჭვები,
და ვგრძნობ სულ სხვა რამ ნეტარებასა.

კოწია.

# „დღეს შაბათია“!

(ეტიუდი).

(დასასრული) *)

ჩაიქრიალა დრომ. გაიარა ერთმა წელიწადმა; აი მეორე შემოდგომაც, ეს ეს არის, მიიწურა. ბუნება მოიღუშა, მწვანე მოლი და ყვავილები დაჭკნენ. მათ ალაგას გამხმარ გატრუსული ღეროებილა დარჩენილა. პეპლები აღარსად ჩანან. ჭიანჭველა თავის კარ-მიდამოს აღარ შორდება, რომ ველ-მინდორის გაუერანებას თვალი აარიდოს. გულ შეწუხებული ფუტკარი სკას უბზუის, თავის მწუხარებას მას უზიარებს. ტყეს მწვანე ჩადრი შემოაცვდა, მისი მეჯლიშიც მოისპო: იქ ბულბულს თვალს ვეღარ მოჰკრავთ და მისი საამო რაკრაკით ვეღარ დატკბებით. ხან-და-ხან შაშვი თუ წამოიკვნესებს და გულს სევდით აგივსებსთ, მაშინ ქარიც დაიზუზუნებს, გამხმარი ფოთოლი ახრიალდება, გაშიშვლებული ტყეც ლაწანს დაიწყებს და ყოველივე ეს ერთათ შეერთებული იმ გვარ გოდებათ იქცევა, თითქოს არე მარე ტირის და თავში იცემსო.

იმ შვენიერ ხეებს, რომლებსაც გრძელი ხშირი ფოთლებით შეფურჩქნული ტოტები შორს თავმომწონეთ გარდაეშალათ და თავის ჩრდილ ქვეშ მაშვრალ მგზავრს დასასვენებლათ იწვევდენ, ახლა საცოდავათ ჩაუქინდრავსთ თავი; წინეთ მედიდურნი ახლა სიბრალულს ღა აღძრავენ ადამიანის გულში. მალე წამოვა თოვლი, დაუბერავს ქარი და ვინ იცის, რამდენი ნორჩი ნერგი და ტოტი მოტყდება, რომ გამოზაფხულზე ვეღარ აყვავდეს, დალპეს, მოისპოს, სამუდამოთ გაჰქრეს. მზეც კი ერიდება იმ არე-მარეს, რომლის ხილვითაც წინეთ ტკბებოდა; პირქუშათ ამოიპარება, გარშემო ბურუსს შემოიკრებს, დაღვრემილი გადივლის შორს, ჩრდილოეთისკენ და ჩაიმალება. მისმა სხივებმაც მოიწყინეს: წინეთ ცელქნი და მარდნი ახლა ოდნავ ციმციმებენ.

აგერ ერთ დროს ჩვენი კოხტა-კოპწია ბაღჩა, ახლა რას დამსგავსებია! წინეთ ტურფა და ლამაზი-ახლა როგორ გაუერანებულა! ხეხილს ფოთოლი გაცვივნია და ჩამომხმარა. ერთ დროს მათ ტოტებზე ჩიტებს ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ, მწიფე ბალს შაშვი და მოლაღური თავს ევლებოდა, ახლა კი იქ სამარის სიჩუმე სუფევს; ხან-და-ხან, როცა ქარი დაიზუზუნებს, კინწალი თუ მოტყდება და მისი კვნესა გაისმის. მაის-ს ვარდი?! მან სადლა დაჰკარგა თავისი სილამაზე? საცოდავს მხოლოთ ეკლებილა შერჩენია, რომლებითაც მტრებს იგერებდა; რაღას გახდეს ამ ეკლებით ახლა, როდესაც მუხთალ ბედს მისთვის ერთი ფურცელიც აღარ შეურჩენია. მალე წამოვა თოვლი, ჩანამქრავს მას და იმ ალაგსაც კი ვეღარავინ მიაგნებს, სადაც ის ცხოვრებდა, იფურჩქნებოდა, ჰყვაოდა, თავის გარშემო საამო სუნსა ჰფენდა და ამით ყველას თავისკენ იზიდავდა... შუა ეზოში ამართულ კოპიტს ძველებური მედიდურება დაუკარგავს, ფოთოლი გაცვივნია, ტოტები გახმობია,—რამდენათაც წინეთ ლამაზი იყო ახლა იმდენათვე უშნოა. აივნის ბოძები და რიკულები გაშავებულან. ყავრის სახურავს ხავსი მოჰკიდებია. სახლში ყოველის ფერი მინგრეულ-მონგრეულია, თვალი ვეღარას გაარჩევს, რადგანაც ყოველივე ხელის სისქე მტვერ ქვეშ დამარხულა.

ბნელს კუთხეში ძველი ფარდაგი აგია და ზედ რაღაც შავი კუნძი დევს, რომელსაც დრო გამოშვებით ძიგძიგი გააქვს და ამით ამცნევს ჩამობნელებულ კედლებს, სულიერი არსება ვარო. დიახ, ეს ადამიანია,—მაკრინეა, ის მაკრინე, რომლის ტანჯულმა გულმა ამ ერთი წლის წინეთ პატარა ხანს შეისვენა, დაივიწყა წარსული, რომ მომავალით კიდევ უფრო დატანჯულიყო. თვალები ჩაღრმავებია, თმა გათეთრებია, სახე მოპრანჭვია, მოღმეჭია, მხოლოთ ძვლები და კანილა დარჩენილა; თავი ძირს ჩაუქინდრავს და ერთ წერტილს მიჩერებია, მაგრამ მისი ფიქრები კი შორს, შორს არიან. ის მოკვდა აწმყოსათვის, მისთვის აწმყო აღარ არსებობს. ამ ერთი წლის წინეთ მან წარსული დაივიწყა და მომავალს მიაპყრო იმედით აღვსილი გული და გონება. დღეს მას მომავალიც დაეკარგა. ახლა ისევ წარსულს დაუბრუნდა, ისევ წარსული შეიყვარა. ნათქვამია, მოგონება სიმდიდრეა, გაჭირვების დროსათვის დაგროვილიო, და მაკრინეც ამ სიმდიდრით ცოცხლობს ახლა. დღემდის მისი ცხოვრების საგანს ერთათ ერთი შვილი, შალვა, შეადგენდა; შალვა აღარ არსებობს: სიღარიბითა და გამუდმებულ შრომით დასუსტებულ მის აგებულებას ჩრდილოეთის ჰავამ სრულიათ მოუღო ბოლო. დასნეულებული ჩამობრუნდა სახლში, მეორე ზაფხულზე, ჩავარდა ლოგინათ და ღვინობისთვეში დაანება თავი ამ ცოდვილ ქვეყანას. მაშ ახლა მაკრინე რაღას ელის? ცოცხლობს, მაგრამ რისთვის? ვისთვის? ნუ თუ ამიტომ გააჩინა ის ღმერთმა, რომ მხოლოთ ტანჯვა-წვალების მეტი არაფერი ენახა?! იტანჯება ახლა, ყველა მას დაცინის, ნიშნს უგებს, ყველა მისი ტანჯვით ტკბება... ერთბაშათ ქარმა დაიზუზუნა, ყავარმა ლაწანი დაიწყო, კარები გაიღო და კედელს ისეთის ძალით მიეჯახა, რომ სახლი შეარ-

*) იხ. „კვალი“, № 32.

ყია. ხმაურობამ მაკრინე შეახტუნა და ფიქრებისაგან გამოარკვია. „დღეს შაბათია!“ წამოიძახა მან უეცრათ. წამოდგა ზეზე, დაიბიჯგა ჯოხი, გამოვიდა გარეთ და გასწია საყდრისკენ. ყოველ შაბათს ინახულებს ხოლმე თავის შალვას, დღეს კი ფიქრებმა უბედური დედა ისე გაიტაცეს, რომ ერთათ ერთი შვილის ნახვაც კინაღამ დაავიწყდა. მიუახლოვდა საყდარს; რამდენიმე ნაბიჯი... აი შალვაც, — და საბრალო დედა გაინართხა შვილის საფლავზე.....

მზე ჩასულიყო. ცაზე შავი ღრუბლები ირეოდა. ქარს ზუზუნი გაჰქონდა, ხეები ირყეოდენ, მაღალ ცაცხვსა და კაკლებს საყდრის გალავანში თავის გამხმარი ტოტებით იდუმალი გუგუნი გაჰქონდათ. ქარის ქროლვით ხან-და-ხან საყდრის ზარიც შეირხეოდა და მაშინ მისი გლოვიარე რეკაც გაისმოდა. ქარიც, ცაცხვიც, კაკლის ხეებიც, ზარიც, — თითქოს ყველა იმას იმეორებდა: „ამაო ამაოებათა და ყოველივე ამაოაო“.

გ — ნო.

# ხალკედონის კრების მიერ აღძრული შფოთი და ქართველ-სომეხთა გაცალკევება სარწმუნოებაში.

## II.

(დასასრული). *)

უწინდელი ქრისტიანული ურთიერთობა სომეხთა, ქართველთა და ალვანელთა შორის. — კიურიონ ჯავახელი. — ხალკედონის აღშფოთება საქართველოში. — კიურიონისა და მოსე ეპისკოპოსის ურთიერთშორის წინააღმდეგობა. — აბრაჰამ კათალიკოსისა და კიურიონის მიწერ მოწერა. — ქართველების გაყრა სომხებთან სარწმუნოებით. — კონსტანტინეპოლის კრება.

ძველათ საქართველო და სომხეთი ერთმანეთის მკვიდრი და ახლო მეზობლები იყვენ; ქართველებისა და სომხების სარწმუნოება ერთი და იგივე იყო. ქართველების და სომხების ეკლესიები ისე შეკავშირებულნი იყვენ ერთმანეთთან, რომ სომხები არა თუ მხოლოთ თავიანთ სამშობლოში, არამედ საქართველოშიაც კი ქრისტიანობის დასაცველათ სისხლსა ღვრიდენ (მაგალ, ვართან მამიკონიანის ბრძოლის დროს). ხსენებულ საპოლიტიკო და სასულიერო ურთიერთობის გამო ამ ორ მეზობელ ტომს შორის დამკვიდრებული იყო დიდი სიყვარული; ერთმანეთში მათ ჰქონდათ ნათელ-მირონობა, მოყვრობა, ერთმანეთს ქალებს აძლევდენ და ირთავდენ. სომხები მიდიოდენ მცხეთაში ღამის სათევათ, ქართველები კი ეჩმიაძინში სალოცავათ. მათში სარწმუნოებისა და რჯულის გარჩევა სრულიად არ იყო, არც დევნიდენ და ჰკიცხავდენ ერთმანეთს. საქართველოსა და ალვანელების კათალიკოსები თავიანთ ერისაგან ირჩეოდენ და კურთხევას ღებულობდენ სომხის კათალიკოსისაგან [1]), მაგრამ ყველა ზემოხსენებული ტომები კი წირვა-ლოცვას თავიანთ დედა-ენაზე ასრულებდენ საკუთარ ეკლესიებში. თუმცა ამ დროსაც სომხის სასულიერო თავისუფლება ბერძნებისგან მუდამ იდევნებოდა ხოლმე, მაგრამ სომხებს, ალვანელებს და ქართველებს შორის მაინც სიყვარული იყო დამკვიდრებული და ურთიერთობა მათ შორის არ წყდებოდა.

საუბედუროთ ხალკედონის აღელვებამ ქართველები გაჰყარა სომხებისაგან, მიამხრო საბერძნეთის ეკლესიას; ამის გამო დიდი სიძულვილი ჩამოვარდა ამ ორ მეზობელ ეკლესიებს შორის. სარწმუნოებითმა გაცალკევებამ ერებიც ერთმანეთს გადაამტერა. ქართველები ბერძნებს შეეკედლენ, უნდოდათ ძლიერი სპარსელებისგან თავი დაეფარათ, მაგრამ ეს მფარველობა ქართველებს ძვირათ დაუჯდათ. უბედურს სარწმუნოებრივ დაშორებას ქართველების და სომხებისას, აი, როგორ მოგვითხრობენ მეისტორიენი:

მოვსეს ელიავართელის კათალიკოსობის დროს მოკვდა ქართლის კათალიკოსი *). შეიკრიბა ქართველი სამღვდელოება ახალი კათალიკოსის ამოსარჩევათ, მაგრამ რადგან ვერ შეთანხმდენ, აღიძრა ამის გამო ქართველ ეპისკოპოსებს შორის დიდი შფოთი. ბოლოს იმათ მიმართეს სომხის კათალიკოსს მოვსესს და თხოვეს მას ამოერჩია ქართველებისათვის კათალიკოსი, მიეცა კურთხევის ბარათი და გაეგზავნა საქართველოში; თითონ კი სიტყვას აძლევდენ, რომ თქვენ ამორჩეულს მივიღებთო. მოვსესმა ამოარჩია სიმეონ — პეტრე, რომელსაც ეწოდა კიურიონი. ეს იყო ქართველი ჯავახეთის მაზრიდან, რომელმაც კარგათ იცოდა ქართული, სომხური, ბერძნული და სპარსული ენა. როდესაც კიურიონი მოვიდა საქართველოში, ბერძნების მიერ ჩაგონებულმა უქადაგა ქართველებს, რომ მიეღოთ ხალკედონის კრება და დამორჩილებოდენ იმპერატორს. ცურტავ ქალაქის ეპი-

---

*) იხ. „კვალი“ № 32.

1) ამას ცხადათ ამტკიცებს საქართველოს მატიანეს ცნობებიც. Additions et éclaircissements, V. par. Brosset.

*) ეს კათალიკოსი უნდა ყოფილიყო სამუელ.

რედ.

სკოპოსმა მოვსესმა, ვერ მოიწონა კიურიონის საქციელი და წერილით აცნობა სომხის არხიმანდრიტს ვრთანესს, რომელიც გამოჩენილი ღვთის მეტყველი იყო სომხეთში, და თანაშემწე მოვსეს კათალიკოსისა; მის სიკვდილს შემდეგ იგი კათალიკოსის მოადგილეთ დანიშნული, მთელის სომხეთის საეკკლესიო საქმეებს განაგებდა. ვრთანესმა მაშინვე მისწერა კიურიონს, რომ უარი ეთქვა ხალკედონის კრების მოძღვრებაზე, მაგრამ კიურიონი არ გადუდგა თავის ნათქვამს და უფრო გზა გახსნა სიძულვილისა. ამ დროს (593—616) სმბატ მარზპანის და სხვა მინისტრების რჩევით, თვით სომხეთის ერის წადილისამებრ, ამოირჩა სომხის კათალიკოსათ რშტუნელი აბრაჰამ ეპისკოპოსი (ალბათის სოფლიდან); ვიდრე კიურიონი ცურტავის ეპისკოპოსს, მოვსესს, დაიბარებდა დაბეზღების გამო დასასჯელათ, ის გაიქცა და მფარველობა თხოვა აბრაჰამ-კათალიკოსს, რომელმან კიდევ უფრო დაწვრილებით განქიქა კიურიონის საქციელი. აბრაჰამსა და კიურიონს შორის გაიმართა ხანგრძლივი მიწერ-მოწერა, რომლის კრებულს ვპოულობთ უხტანესის თხზულებაში. აბრაჰამი არიგებდა, რომ ხალკედონის კრების გამო არ გაემწვავებინა სომეხთა და ქართველთა შორის ეროვნული სიყვარული, არ დაერღვია მათ შორის მშვიდობიანობა, მაგრამ კიურიონი დათმობის მაგიერათ მეტათ მკვახეთ და უპატიურ სიტყვებით იხსენებდა აბრაჰამს. ამის გამო აბრაჰამ კათალიკოსი იძულებული შეიქმნა კრება მოეხდინა და კიურიონი და მისი მიმდევრები სრულიად განეკვეთა სომხის ეკლესიიდან. კიურიონს ეს ძრიელ ეწყინა და იჩივლა ბერძნის იმპერატორთან—მავრიკთან. მაგიერათ მავრიკმაც შეჰყარა სომხისა და ბერძნების ეპისკოპოსები კონსტანტინეპოლში, შედგა კრება, სადაც, სხვათა შორის, იყვენ კათალიკოსის მოადგილე ვრთანესი და და გრიგოლი ქართველთა ეპისკოპოსი. უმეტესმა ნაწილმა ეპისკოპოსებისამ იმპერატორის შიშით მიიღეს ხალკედონის კრება; დანარჩენნი კი მათი მოპირდაპირენი, დაბრუნდენ სომხეთს. მავრიკს ძრიელ ეწყინა ეს და აბრაჰამ კათალიკოსის მოპირდაპირეთ საბერძნეთის სომხეთში ოჰანეზ ეპისკოპოსი დასვა კათალიკოსათ. აი, ამ რიგათ გაიყო სომხის კათალიკოსობა ბერძნების მტრობით და გამწვავდა მათ შორის სიძულვილი. აბრაჰამ კათალიკოსი მთელ თავის სიცოცხლეში ცდილობდა, როგორმე სომეხთა და ქართველთა შორის ისევ უწინდელი ერთობა ჩამოეგდო, მაგრამ ველარა მოახერხა რა. რამდენათაც დიდი ხანი გადიოდა, იმდენათ უფრო დიდი სიძულვილი ვარდებოდა ერთმანეთზე ქართველებისა და სომხების გულში და დღესაც ვხედავთ, რომ ეს ორი მეზობელი ტომი, რამდენათ გადაკიდებულნი არიან და როგორ აღენთებიან ხოლმე ერთმანეთის წინაამდეგ სულ უბრალო შემთხვევის გამო. დღესაც არიან ქართველ-სომეხ ერის კაცებში იმნაირი კიურიონები და მოვსესები, რომლებიც განუჭვრეტელობით უქადაგებენ ერთი მხრით ქართველებს და მეორე მხრით სომხებს, რომ ჩვენ უნდა გვძულდეს ერთმანეთი, რომ ქართველებსა და სომხებს შორის არავითარი კავშირი არ შეიძლება. ვინ იცის, რამდენი უბედურება მოუვლენია ასეთს შეხედულებას ორივე ერებისთვის და კიდევ რამდენს შეგვამთხვევს მომავალში.

დავით ტერ-დავითიანცი.

# ბიბლიოგრაფია.

ნ. რუბაკინი. ორი ეტიუდი. „ქალაქის მაძიებელნი“ და „პირის-პირ“. თარგმანი. გამოცემა „ახალი მკითხველისა“. ფასი ერთი აბაზი.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს იმისთანა მდგომარეობა, როდესაც ყველა ადამიანი თავის ურთიერთ დამოკიდებულებაში თანასწორი ყოფილიყვენ.

უსათუოთ ადამიანთა კრებული იყოფებოდა ჯ. უფ. ჯგუფებათ და ამ ჯგუფთა შორის ყოველთვის გამართული იყო ასე თუ ისე გამწვავებული ბრძოლა. გაბატონებულ, გაძლიერებულ ჯგუფს უნდოდა უძლურის კიდევ უფრო დაბეჩავება, დამარცხებულს კი თავის ზევით აწევა და მონობისაგან გათავისუფლება. ლაპარაკი არ უნდა, რომ ერთეული, განცალკევებული ბრძოლა ამისთანა საერთო საქმეში დიდ მნიშვნელოვანი ვერ იქნებოდა. ამიტომ ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენელნი ბუნებრივათ უკავშირდებოდენ ერთმანეთს საერთო მიზნის მისაღწევათ. მაგრამ, ამისთანა შეკავშირება მეტის-მეტი ძნელი საქმეა. საკმარისი არ არის, რომ ორი ადამიანი ერთსა და იმავე მიზეზის გამო იტანჯებოდეს. საჭიროა, რომ მათ ესმოდეთ მიზეზი ამ ტანჯვისა, შეგნებული ქონდეთ თავის ვითარება. მაშინ კი მათი შეკავშირება უფრო ძრიელი დ დიდხნოვანი იქნება. ამ შემთხვევაში დღევანდელ მრეწველობაზე აშენებულ წესწყობილებას დიდი უპირატესობა აქვს წარსულ ისტორიაზე. იმისთანა ქვეყნებში, სადაც მრეწველობა განვითარებული არ არის, საერთო, კოლექტიური გრძნობა მეტის-მეტათ მკრთალია, პირ-იქით აჭარბებს ერთეული, ინდივიდუალური გრძნობა. ყველას იმედი აქვს, რომ გამდიდრდება და დღეს თუ არა ხვალ მილიონის პატრონი იქნება. გაიხსენეთ გლეხის ოცნე-

ბა, როცა იგი მძინარ კურდღელს წაადგება თავს, როგორ მოელის იგი ამ კურდღლისაგან გამდიდრებას: კურდღელს მოვკლავ, გავყიდი, იმ ფულით გოჭს ვიყიდი, გოჭი ღორათ იქცევაო და ასე ნელ-ნელა გავკეთდებიო. თქვენ, რასაკვირველია, გაგეცინებათ, როცა ამისთანა ბრიყვულ ოცნებას მოისმენთ, მაგრამ დაიცათ, ნუ იცინით, რადგან ეს გლეხი თქვენი ნათესავია, თქვენც არ ხართ თავისუფალი ამ გვარი ოცნებობისგან, თქვენ ერთგვარი სულის კვეთება გაქვთ. რატომ არის ესო? იკითხავთ.—იმიტომ რომ დღეს ჩვენში ჯერ-ჯერობით მაინც წვრილმანი მეულობელობა არის, ამიტომაც თვითოეული ჩვენგანი ცალცალკე იჩხრიკება თავის შესანახათ. მაგრამ აი გამოჩნდა მილიონერი, გამართა ვეებერთელა ქარხანა, შეკრიბა უთვალავ-უანგარიშო მუშა. მერე აქ მუშა ისევე იფიქრებს ახლა, როგორც იგი გლეხი ფიქრობდა? განა იმას იმედი აქვს გლეხივით, რომ გოჭის გაყიდვით გავმდიდრდებიო? სრულიადაც არა. აქ მისი აზრთა მიმართულება სრულიად იცვლება. იგი როცა ხედავს ამ ვეებერთელა მაშინებს, ჰკარგავს იმედს, ისე უეცრათ გამდიდრებისას, იმას თავის ღონის იმედი ისე აღარ აქვს; იცის, რომ მას მარტო თავისუფლათ ჩაჰყლაპავს ეს ვეშაპი მაშინა. მაშ სად ხედავს იგი თავის ხსნას? რასაკვირველია, თავის ამხანაგებთან შეერთებაში. აი, აქ იბადება საზოგადო კოლექტიური გრძნობა. ეს გრძნობა იმდენათ მახვილია, როგ ერთი მუშის უბედურება, ერთის დამარცხება სხვასაც მოხვდება გულში და ჩასძახის მას, რომ თავის გაჭირვებულ ძმას ხელი გაუწოდოს. აქ ერთის უბედურება—მეორეს უბედურების წინამორბედია, ერთის დამარცხება, მეორეს დამარცხებას მოასწავებს. ამიტომაც ასე გამწევავებით და თავ-გამოდებით შეელიან ერთმანეთს ახლანდელი მუშები და ამ გვარათ ძლიერდება მათში კოლექტიური ძალა და ლტოლვილება.

ლაპარაკი არ უნდა, მუშათა მისწრაფებაში იხატება მომავალი წეს-წყობილება. ამიტომაც ყოველი ინტელიგენტი თავის მოვალეობათ უნდა თვლიდეს ხელი გაუწოდოს ამ ახალ ნაყოფს ცხოვრებისას და უშველოს თავის ვითარების შეგნებაში. „ახალი მკითხველი“ დარწმუნებულია, რომ ამისთანა მუშები არ კმაყოფილდებიან სწავლის ნამცეცებით, რომ ისინი ცდილობენ ჭეშმარიტი ცოდნა შეიძინონ. ამის გამო თითონ უკისრნია ეს ჭეშმარიტი ცოდნა ცხოვრებისა და მისი კანონებისა ჩააგონოს ჩვენ ბოგანო ხალხს, სწორეთ რომ სანატრელი მისწრაფებაა. ეს ზემო აღწერილი წიგნიც სრულიათ ეთანხმება მის მიზანს. ამაში ჩვენ ნათლათ დავინახავთ თუ ვინ ყოფილა, მუშის მოკეთე, თუ ვინ შველის მას, ვინ უშლის ხელს, რამდენი გაჭირვება და ვაი-ვაიგლახი მოელის მას ცხოვრებაში. სწორეთ საინტერესოა ეს წიგნი ყველა იმათთვის, ვისაც ოდნავ შეუძლია თავისი მოძმის გაჭირვება გაიგოს ან და სურს თავისი ვითარება შეიგნოს.

ვისურვოთ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ მეტის მხნეობით და გულ-უხვობით შეუწყოს ხელი ამ ახალ მკითხველთა განმანათლებელთ.

პ. ს—ძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ სიმართლის აღსადგენათ ადგილი დაუთმოთ ჩემ წერილს თქვენი პატივცემული გაზეთის უახლოესს ნომერში: „კვალის“ № 30-ში დასტამბული იყო წერილი ბ-ნ. ციმბირელის შვილისა, რომელიც ბრალს მდებს, ვითომც მე დამენგრიოს აცანის ოქონის ეკლესია. ჩემი მოვალეობაა ეკლესიის აშენება და გამშვენიერება და ამ მოვალეობისთვის მე არასოდეს არ მიღალატნია და არც ეკლესია დამინგრევია. მხოლოთ ბ-ნი ციმბირელი შვილს პირადი უკმაყოფილება აქვს ჩემთან და ეკუთვნის იმ „პარტიას“, რომელიც აცანის ოქონის ახალი ეკლესიის აშენების წინაღმდეგი იყო და არის, რომელმაც თავისს დროზე არა ერთი საჩივარი გაგზავნა ამ საგანზე, რაიცა კარგათ იცის მთავრობამ და საზოგადოებამაც. ამიტომ ბ-ნმა ციმბირელიშვილმა ახლაც არ დაიზარა ჩირქი მოეცხო ჩემთვის მთავრობისა და საზოგადოების თვალში, და სხვა რომ ვერაფერი იპოვნა ჩემ წინააღმდეგ, თავის თავს ნება მისცა და ჭორით შეამკო თავისი წერილი, თვარა ბათუმიდან (სადაც იგი სამსახურშია), რომ ამოსულიყო და ნამდვილი ცნობების შეკრება მოესურვებია, ეკლესიაზე თუ არ მოვიდოდა, თავის ეზოდანაც კი დაინახავდა, რომ ეკლესია და ციხე თავის ადგილას დგას. მაგრამ ის ხომ სიმართლეს არ ეძიებდა, ოღონდ კი ჩემი სახელი შეელახა. და ამ სურვილმა იმდენათ გაიტაცა უმწვილი კაცი, რომ თავისი წერილის აზრსაც არ დაუკვირდა და თავისივე წერილით გაიმტყუნა თავი, რადგანაც წერილში ნათქვამია, რომ აცანაში ოქონის ეკლესია იყო და დაანგრიესო, მაშასადამე ახლა აღარ არის, და წირვა-ლოცვა კი ახლაც არისო, თუ დავანგრიე და ეკლესია აღარ არის, რაში უნდა იყოს ახლა წირვა-ლოცვა? რომელ დანგრეულს ეკლესიაში წირვენ, ნეტავი ვიცოდეთ? ჩემზე რამდენიც გნებავს ბ-ნო ციმბირელიშვილო შემდეგშიაც წერეთ, შეიძლება, პასუხითაც არ შეგაწუხოთ თავი, ოღონდ, თუ გსურს მწერლობას მიჰყო ხელი, გირჩევ სიმართლის გზას დაადგეთ და გახსოვდეთ, რომ სიცრუეს მოკლე ფეხები აქვს და ცრუს მართალსაც არ დაუჯერებენ.

ბლაღოჩინი მღვდელი სილიბისტრო ჩხაიძე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 9 Августа 1897 г. Тип. М. Д. Ротиніанца—სტამბა, მ. დ. როტინიანცის Гол. пр. д., № 41.